ხელშეკრულება N408

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2016 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო", ს.კ. 245 631 632, (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე, დირექტორის მ.შ ავთანდილ გეგენავას სახით და მეორე მხრივ შპს „სი-ტი პარკ"-ი (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია დანართ №1-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ერთწლიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება (CPV63700000).

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

2.1. პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 5 ერთეულ ავტომანქანაზე:

2.2. ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების მომახურების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

2.3. ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიერულ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი რევაზ ჩანტლაძე.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი ინახება "შემსყიდველთან", ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 01 იანვრიდან, მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო" მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ნინოშვილის 23 საიდენტიფიკაციო ნომერი: 245631632 საბანკო რეკვიზიტები სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ნომერი: 707227058 e-mail: info@mta.gov.ge TEL/FAX: +995 422 27 49 25 +995 422 27 39 29 ---------- დირექტორის მ.შ. ავთანდილ გეგენავა	შპს „სი-ტი პარკ"- ი საიდენტიფიკაციო კოდი 204543770 ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47 ტელ: 2555123 ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ ბანკის კოდი: REPLGE22 ანგარიშის №GE90 BR00000 106 086 189 45 ---------- გენერალურ მენეჯერი: ბინიამინ ლაჰავ

დანართი N1

ჰიუნდაი სონატა	სახელმწიფო ნომერი - FFT – 090
სუზუკი სვიფტი	სახელმწიფო ნომერი - GBB – 573
ჰიუნდაი ელანტრა	სახელმწიფო ნომერი - CQQ – 788
ჰიუნდაი აქცენტი	სახელმწიფო ნომერი - CQQ - 797
კია სერატო	სახელმწიფო ნომერი - MTA - 070